უნარების შეუსაბამობა საქართველოს განათლების სისტემაში: რა უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს.

ლაშა მაჭარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018

განაცხადი

„წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ლაშა მაჭარაშვილი

22.06.2018.

აბსტრაქტი

უნარების შეუსაბამობა თანამედროვეობის მნიშვნელოვანი გამოწვევაა განათლების სისტემებისათვის, როგორც საერთაშორისო, ისე ლოკალურ დონეზე. მასთან გამკლავების ერთ-ერთი სტრატეგია არის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, რათა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების უნარები და კომპეტენციები უფრო მეტად დაუახლოვდეს დამსაქმებლების მოთხოვნებს.

წინამდებარე კვლევა ეხება უნარების შეუსაბამობას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. კვლევის მიზანი იყო საქართველოს განათლების ადმინისტრირების შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაგება დამსაქმებელთა პერსპექტივიდან. კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებულიყო რეკომენდაციები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანის მისაღწევად, დამსაქმებლებთან ერთად, გამოიკითხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებიც.

ზემოთაღნიშნული საკითების შესასწავლად, ჩატარდა: 1. სიღრმისეული ინტერვიუები დამსაქმებლებთან, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორიდან. 2. სიღრმისეული ინტერვიუები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც დასაქმებულები არიან პროფესიით და 3. ფოკუს ჯგუფი საჯარო სკოლის დირექტორებთან.

კვლევის ძირითადი მიგნებები ის იყო, რომ საქართველოს საგანამანათლებლო სისტემაში დასაქმებულებში არსებობს როგორც ტრანსფერული უნარების, ისე, სათანადო პროფესიული კომპეტენციების პრობლემა. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა იყო ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა დამსაქმებლებისაგან. კომუნიკაციის უნარი, საკანონმდებლო მოცემულობის ცოდნა და განათლების სისტემური ხედვა იყო იმ ძირითად უნართაგანი/კომპეტენციათაგანი, რომელთაც დამსაქმებლები ასახელებდნენ, როგორც მნიშვნელოვანს. სკოლის

მენეჯმენტისათვის, პრაქტიკული გამოცდილება ბევრად უფრო მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, ვიდრე აკადემიური განათლება. ამასთანავე, ზოგიერთ დამსაქმებელს ბუდნოვანი წარმოდგენა ჰქონდა როგორც განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ისე იმის შესახებაც თუ ზუსტად რა უნარების მქონე დასაქმებული სჭირდებოდა.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, საქართველოში მსგავსი კვლევების ნაკლებობის გამო და ასევე, მათი გათვალისწინებით, შესაძლებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის უფრო დაახლოება დამსაქმებელთა მოთხოვნებთან და მოლოდინებთან.

საკვანძო სიტყვები: უნარების შეუსაბამობა, შრომის ბაზარი, ტრანსფერული უნარები, პროფესიული კომპეტენციები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები.

Abstract

Skills mismatch is an important challenge for educational systems, both on international and local levels. One of the strategies to deal with it is the study of labour market's needs, in order for the graduates of the educational programs to develop skills and competancies that better match with the employers' needs.

The given research is about the skills mismatch in Georgian education system. The goal of the research was to find wchich skills and competencies are needed for Education Administration labour market from employers' perspective. One of the objectives of the research was to generate recommendations for the improvement of Ilia State University's Education Administration Master Programme. For this particular objective, the interviews were also conducted with the alumnus of Ilia State University's Education Administration Master Programme.

In order to study the upper-mentioned topics 1. In depth interviews were conducted with the employers, from both: public and private sector. 2. In depth interviews were conducted with Ilia State University's Education Administration Master Programme. 3. Focus group was held with the public school principals.

Main findings of the research were, that there are problems of both the transferable skills and relevant professional competencies in Georgian educational system. The ability to use the gained knowledge in practice was one of the main demands of the employers. Communication skill, knowledge of the law and the systematic vision of education were some of the main skills/competencies that the employers indicated as important. For school management, practical experience was regarded as far more important, than academic education. Also, some of the employers had vague perceptions about both the Education Administration educational programmes and the types of skills they needed from their employees.

The results of the research is important, because of the lack of such studies in Georgia and also, because it's possible to use them in order to bring Ilia State University's Education Administration Master Programme closer to employers' needs and expectations.

Key words: Skills mismatch, labour market, transferable skills, professional competencies, employers, alumnus.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ნაშრომის შექმნისა და სრულყოფის პროცესში.

პირველ რიგში, მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნათია ანდღულაძეს, რომელიც არ იშურებდა სწორ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს.

ამასთან ერთად, მადლობას ვუხდი კვლევის ყველა რესპოდენტს, ძალიან დაკავებულ ადამიანებს, რომლებმაც მაინც მოახერხეს დროის გამონახვა კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

ბოლოს კი, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებს, მშობლებსა და ძმას, რომლებიც მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ნაშრომზე ვმუშაობდი, მხარს მიჭერდნენ და სჯეროდათ ჩემი.